ძვ. წ. VI-III საუკუნის (პირველი ნახევრის) ორნამენტი კოლხური მატერიალური კულტურის თიხის ნაწარმზე

ნინო ჯაფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჯაფარიძე

07.02.2022.

მადლობა

ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ დიმიტრი ახვლედიანს, მადლობას ვუხდი გაწეული დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ძვ.წ. VI - III საუკუნის (პირველი ნახევრის) კოლხური მატერიალური კულტურის ორნამენტს ადგილობრივ თიხის ჭურჭელზე. ნაშრომში თავმოყრილია ამ პერიოდის ძეგლებზე გამოვლენილი კერამიკის ძირითადი ორნამენტული სახეები, დაჯგუფებულია ტიპებად და დეტალურად არის აღწერილი თითოეული მათგანი. ადრეანტიკური პერიოდის კერამიკული ნაწარმი ხასიათდება ფორმების და ორნამენტის მრავალფეროვნებით. ამ ხანის ჭურჭელი ძირითადად ჯერ კიდევ გენეტიკურად დაკავშირებულია მის წინამორბედ კერამიკულ ნაწარმთან. მიღებული აქვს იმდროინდელი პერიოდის სამეთუნეო მიღწევები, როგორც ტექნიკური ისე ესთეტიური. მასალის ძირითადი ნაწილი ფრაგმენტულად არის ჩვენამდე მოღწეული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ძეგლზე გამოვლენილი კერამიკული ჭურჭელი ხასიათდება ლოკალური, იდივიდუალური შემკულობით, რაც იშვიათია და სხვაგანა არ მეორდება. გამოსაყოფია ასევე ზოომორფული ფიგურებით შემკული კერამიკა, რომელიც ანალოგს ლითონის სხვადასხვა მასალასთან პოულობს. ძვ.წ. VI - III საუკუნის კოლხურ ნამოსახლარებზე თუ სამაროვანებზე საკმაო რაოდენობით ვხვდებით ასევე იმპორტულ ნაწარმსაც, სრულიად განსხვავებული შემკულობით და ფორმით, თუმცა ამ ყოველივემ ადგილობრივი კერამიკული ტარის გაფორმებაზე დიდი ზეგავლენა ვერ იქონია და წამყვან მოტივებად კვლავ კოლხური ორნამენტი რჩებოდა.

საძიებო სიტყვები: ადგილობრივი კერამიკა, ორნამენტი, ანტიკური პერიოდი.

Abstract

The master ‘ s thesis presented by us refers to BC. VI - III century (first half) Colchian culture ornament on local pottery. The paper presents the main pottery ornaments found on the monuments of this period, grouped them into types and describes each of them in detail. Antique period ceramics are characterized by a variety of shapes and ornaments. Pottery of this period is still largely associated with its predecessor pottery. The main part of the material is fragmented before us. It is noteworthy that the ceramic pottery found on some of the monuments is characterized by local, individual ornamentation, which is rare and not repeated elsewhere. There are also pottery decorated with zoomorphic figures, which find analogues with different materials of metal. B.C. In the VI - III century Colchian settlements or cemeteries we find a large number of imported products, with completely different ornaments and shapes, although all this did not have much influence on the decoration of local ceramic vessels and the leading motifs still remain Colchian ornament.

Key Words: local pottery, ornament, antique period.